

შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი

01 მარტი 2017 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაციხის საჯარო სკოლა (ს/კ 215606477), მისი უფროსის, დავით ყიფშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯეოსელი“, წარმოდგენილი მისი კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ 2017 წლის 27 თებერვლის საქართველოს მთავრობის №362 განკარგულების შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზე, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 25 იანვრიდან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (CON15000078) №2 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 470 (ოთხასსამოცდაათი) ლარი.
2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 01 თებერვლიდან 2017 წლის 1 აპრილამდე.
3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 მაისამდე.


სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 25 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CON15000078) №2 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

ქვაციხის საჯარო
სკოლის დირექტორი

დავით ყიფშიძე



მიმწოდებელი:

კორპორაციული ბიზნეს

ერთეულის დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

